



21 მაისი 2025წ.

აუდიტორული მოსაზრება

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო (ს/ნ406044659) ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების შესახებ 2024 წლის პერიოდისთვის.

შემოსავლების სამსახურში წარსადგენად



შპს „ანდრე აუდიტი“

ს/ნ 406121352

აუდიტორული ფირმების

რეესტრის #SARAS-F-934401

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, , ქ.
თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში,
დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი III
ა კორპუსი 335 ბინა 126

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი,

ყიფშიძის #12 ბ

ტელ: 577656401

ელ. ფოსტა info@andreaudit.ge

www.andreaudit.ge

შინაარსი:

1. ინფორმაცია შემოწმების შესახებ
2. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე
3. აუდიტორის პასუხისმგებლობა
4. მოსაზრება
5. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
6. შემოსავლების და ხარჯების ანგარიშგება
7. ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია შემოწმების შესახებ

აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა შპს ანდრე აუდიტი-მა (ს/ნ 406121352) ჩაატარა ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო-ს ფინანსური მგომარეობის ანგარიშგების და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება 01.01.2024 დან 31.12.2024 წლის პერიოდზე.

აუდიტი ჩაატარა დამოუკიდებელმა აუდიტორმა ზაზა მჭელიშვილმა (აუდიტორთა რეესტრში #SARAS-A-863342; პირადი ნომერი: 45001002675;).

აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა „დამკვეთი“-ს მიერ განსაზღვრულ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეჟავას 22.

აუდიტორულ შემოწმებაში მონაწილეობას იღებდნენ და სათანადო ახსნა განმარტებებს იძლეოდა საზოგადოების წევრი ნანა დვალი და ასოციაციის ბუღალტერი ნათია კიკილაშვილი.

2. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების 2018 წლის 26 ივნისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის #ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია „ასოციაციის“ მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო ეყრდნობა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, რომლის უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ასოციაციის შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

3. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა

განმარტებით შენიშვნებზე, კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორი განსჯაზე რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა და შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარმოდგენისთვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის შეფასებას

4. მოსაზრება

ჩვენი აზრით თანდართული ანგარიშგება შესაბამისობაშია 2018 წლის 26 ივნისის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის #ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან, რომელშიც თავის მხრივ შენარჩუნებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ძირითადი დაშვებები და პრინციპები, ასევე აღიარებისა და შეფასების მეთოდები

აუდიტი წარიმართებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც თავის მხრივ მოიცავს დაცული იყოს ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად იქნეს დაგეგმილი და ჩატარებული აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისი, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

შპს-ის „ანდრე აუდიტი“-ის დირექტორი:

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სარეგისტრაციო SARAS-A-863342)



ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია - საქართველო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 სლი 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
მიმდინარე აქტივები		104371.8	205627	188106
მარაგები		60		
დებიტორები		2.8	2.8	2.8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3	7403.55	7424.68	7817.09
ავანსები (აუდიტი)		786.85		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		96118.56	198199.6	180286.58
სულ აქტივები		104372	205627	188106
ფონდები და ვალდებულებები				
ფონდები		97421.06	198556	182006
შეუზღუდავი ფონდი		97421.06	198555.81	182006.25
დროებითი შეზღუდული ფონდი				
მუდმივად შეზღუდული ფონდი				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
საპენსიო ანარიცხები				
მოკლევადიანი ვალდებულებები		6950.7	7071	6100
კრედიტორები		6476.7	5639.85	4739.8
მოკლევადიანი სესხები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი				
გადასახდელი ხელფასები		474	1431.38	1360.42
სულ ფონდები და ვალდებულებები		104372	205627	188106

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია - საქართველო საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2024
 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში		2024	2023	2022
შემოსავლები				
საწევრო შენატანები		4400	14900	11100
საპროცენტო შემოსავლები		3170.21	2314.8	1106.5
ლივიდენდები				
გრანტი				
შემოწირულობები		130637.8	193984	238194
სხვა შემოსავლები		6356.57		495.63
სულ შემოსავლები		144564.5	211199	250896
ხარჯები				
I პროექტის ხარჯი	8	185423.2	131808	147490
II პროექტის ხარჯი				
III პროექტის ხარჯი				
პროექტების მხარდაჭერის ხარჯი		37458.98	29036	24914
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი		4935.84	10811	1831.8
ბანკის საკომისიო		790.75	196.06	310
საოფისე ხარჯი			2032.2	517.91
ხელფასები		13205.5	14706	12750
სოციალური (საპენსიო) ხარჯი		41.25	45	45
სასტუმროების ხარჯი	7		1200	740
აუდიტის ხარჯი		3540	4815.5	3540
წარმომადგენლობითი ხარჯი				
სულ ხარჯები		245395.5	194649	192138
მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/ დეფიციტი)		-100831	16549	58758
მოგების გადასახადი				
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)		-100831	16549	58758

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო-ს სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა 2011 წლის 09 მარტს საჯარო რეესტრის მიერ როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 406044659. დღემდე „ასოციაციის“ სახელწოდებაა „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო“ რომლის დამფუძნებელია ნანა დვალი,

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო მოქმედებს წესდების შესაბამისად რომელიც დამტკიცებულია დამფუძნებლის 2011 წლის 28 თებერვლის #1 გადაწყვეტილებით.

ასოციაციის წევრები ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოქმედებენ სრულიად უსასყიდლოდ ანაზღაურების გარეშე.

წესდებით „ასოციაციის“ მიზანია კანონის შესაბამისად:

- განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა
- დახმარება გაუწიოს საქართველოს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას
- დაახლოვოს საქართველოში ჩამოსული უცხოელი ქალბატონები და ქართველი ქალბატონები, დაამყაროს მათთან მეგობრული ურთიერთობები, გააცნოს და ხელი შეუწყოს ქართული და უცხოური კულტურის გაცნობას და დაახლოებას
- ყოველმხრივ ხელი შეუწყოს უცხოელ სტუმრებს რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ მიერ საქართველოს უკეთესად აღქმას
- თავისი მიზნების განსახორციელებლად ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ანალოგიურ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და კერძო პირებთან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მოქმედი კანონმდებლობით ქმნის საწარმოებს, სამეურნეო ანგარიშთან ორგანიზაციებს, ფილიალებს, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთელ ორგანიზაციებთან, რომელთა შემოსავალი მოხმარდება „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას.

ორგანიზაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა მისი წევრების საერთო კრება, რომელიც მოიწვევა მინიმუმ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა „ასოციაციის“ გამგეობის გადაწყვეტილებით, ან წევრთა 2/3-ის მოთხოვნით გადაუდებელ საკითხების განსახილველად.

ორგანიზაციის საერთო კრება ირჩევს „ასოციაციის“ გამგეობას მინიმუმ სამი წევრის შემადგენლობით ერთი წლის უფლებამოსილების ვადით. გამგეობის წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ იგივე პოზიციაზე ზედიზედ სამი საარჩევნო ვადით გარდა დამფუძნებლისა, რომელიც არის გამგეობის მუდმივი წევრი. გამგეობა არის ორგანიზაციის მმართველი ორგანო რომლის პრეზიდენტსაც ირჩევენ გამგეობის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან. გამგეობის სხდომები ტარდება თვეში ერთხელ მაინც რომელსაც იწვევს და უძღვება გამგეობის პრეზიდენტი

შენიშვნა 2: საადრიცხო პოლიტიკა

- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

თანდართული ფინანსური უწყისები მომზადებული იქნა ანგარიშგების 2018 წლის 26 ივნისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის #ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად

ორგანიზაციის პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ანგარიშგება მზადდება და წარედგინება პირვანდელი ღირებულების პრინციპისა და დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ქვივალენტების ოდენობით, ან იმ რელური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ძირითადი საშუალებები

ორგანიზაცია სააღრიცხვო პოლიტიკით ძირითადი საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული ღირებულებით რაც მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს.

შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივის მიმდინარე რემონტის და შენახვის დანახარჯები აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით

- გადასახადები:

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას და მისი ძირითადი საქმიანობა არაეკონომიკურ ხასიათს ატარებს. მისი შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს შემოწირულობები, საწევრო შენატანები და გრანტები შესაბამისად ამ ნაწილში მოგების გადასახადისგან გათავისუფლებია და ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯებიც არ გამოიქვითება.

ორგანიზაციას წესდებით უფლება აქვს განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებს ბეგრავს მოგების გადასახადით (ეს შემოსავლები მცირდება იმ ხარჯებით რომელიც მის მიღებაში მონაწილეობს).

ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე იხდის დღგ-ს თანხას, თუმცა არ ახორციელებს მის უკან დაბრუნებას ან სხვა გადასახადებში ჩათვლას და გადახდილ გადასახადს აღიარებს ხარჯად

ორგანიზაცია საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან ბეგრავს ხელფასებს, ასევე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირებზე გაწეულ დახმარებას რომელიც აღემატება 1000 ლარს (თუ კანონით არ არის გათავისუფლებული გადასახადისგან)

- ფონდები:

ფონდები წარმოადგენს ორგანიზაციის ნეტო აქტივებს, რომელიც არის წევრების, შემომწირველების, სპონსორების, დონორების და სხვა პირების მიერ ორგანიზაციაში შეტანილი აქტივების, მათი სხვაგვარი ზრდისა და შემცირების შედეგი და გამოიყენება ორგანიზაციის მისიის შესასრულებლად. ფონდის გამოყენება შეიძლება იყოს შეუზღუდავი, დროებით შეზღუდული ან მუდმივად შეზღუდული.

შეუზღუდავი ფონდი - არის ორგანიზაციის ფონდების ნაწილი, რომელიც დონორის მიერ არ იზღუდება არც დროებით და არც მუდმივად.

დროებით შეზღუდული ფონდი - წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების ნაწილს რომელიც შექმნილია:

- აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში ან შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს ორგანიზაციის ქმედებით ამ შეთანხმების საფუძველზე;
- აქტივის სხვაგვარი გაფართოება ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და
- ფონდების კლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით, მისი ან ვადის გასვლის, ან შესრულების, ან ორგანიზაციის ქმედებით ამავე შეთანხმების გაუქმების საფუძველზე

მუდმივად შეზღუდული ფონდი - წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების ნაწილს, რომელიც შექმნილია:

- აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს.
- აქტივის სხვაგვარად გაფართოებით ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და

➤ ფონდების რეკლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით

- გრანტები

გრანტების აღრიცხვის პოლიტიკა განისაზღვრება იმისდა მიხედვით არის ეს უპირობო თუ პირობიანი გრანტი,

უპირობოა გრანტი - როდესაც ორგანიზაცია გრანტის მიმღებს აძლევს ფულს (ან რაიმე აქტივს, ან უსასყიდლოდ აწვდის მომსახურებას) და მისგან არ ითხოვს არანაირი მომავალი პირობების შესრულებას, თანხების რაღაც კონკრეტული მიზნით გამოყენებას ან რაიმე პროგრამის თუ პროექტის განხორციელებას.

პირობიანია გრანტი - როდესაც ორგანიზაცია გრანტის მიმღებს აძლევს ფულს (ან რაიმე აქტივს, ან უსასყიდლოდ აწვდის მომსახურებას) და მისგან ითხოვს თანხების რაღაც კონკრეტული მიზნით გამოყენებას ან რაიმე პროგრამის თუ პროექტის განხორციელებას და შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენას და ამავე კონტრაქტში ჩადებულია პუნქტები, რომელთა მიხედვით, თუკი გრანტის მიმღები გრანტის პირობებს არ შეასრულებს, მაშინ გრანტის გამცემს აქვს უფლება შეაჩეროს თანხების გაცემა და/ ან მთლიანად ან ნაწილობრივ უკან დაიბრუნოს მანამდე გადახდილი თანხები.

- წარდგენის ვალუტა

ორგანიზაცია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ლარებში, მისი საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ოპერაციები რომლებიც განხორციელებულია სხვა ვალუტით განიხილება როგორც ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- საანგარიშგებო პერიოდი

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი, პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ფინანსური ანგარიშგება კეთდება წლის დამთავრებიდან არაუმეტეს სამი თვის პერიოდში.

შენიშვნა 3: წინასწარ გადახდილი გადასახადები

ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ქონდა წინასწარ გადახდილი გადასახადები ჯამში 7424.68 ლარი, საანგარიშო პერიოდის ბოლოს წინასწარ გადახდილი გადასახადმა შეადგინა 7403.55 ლარს.

შენიშვნა 4 : მოგების გადასახადი

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველო წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შესაბამისად მისი ძირითადი საქმიანობით მიღებული შემოსავლები გათავისუფლებულია მოგების გადასახადით დაბეგვრისგან, თუმცა ორგანიზაცია თავისი მიზნების მისაღწევად, ფინანსური რესურსის მოსაზიდად ხშირად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. რადგან მოზიდული ფინანსური რესურსი ხმარდება ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებს კერძოდ საქველმოქმედო საქმიანობას, გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან

შენიშვნა 5: საპროცენტო შემოსავლები

ორგანიზაციას გარკვეული თანხა 2024 წელს განთავსებული ქონდა ანაბარზე საიდანაც ერიცხება პროცენტი. 2024 წლის განმავლობაში ორგანიზაციას საპროცენტო შემოსავლის სახით დაერიცხა 3170.21 ლარი

შენიშვნა 6: სხვა შემოსავლები

ორგანიზაციის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოწირულობები და საწევრო შენატანები, თუმცა საქველმოქმედო ორგანიზაცია თავისი მიზნების განსახორციელებლად სახსრების მობილიზაციის მიზნით ხშირად ეწევა დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას. ამ მუხლში მითითებულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა ასევე არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

შენიშვნა 7: განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების ხარჯი

ორგანიზაციის შემოსავლების და ხარჯების ანგარებაში მუხლი „განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების ხარჯი“ შედგება შემდეგნაირად:

2024#02 GEL 5,000 Saba - Association of Social Protection and Rehabilitation of Disabled Children

Support flood victims in Lanchkhuti municipality who were afflicted by floods on September 8, 2023. The funds covered food and basic supplies, e.g. clothes for the victims of the floods.

2024#02 5.000 ლარი საბა - შშმ ბავშვთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის ასოციაცია

2023 წლის 8 სექტემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა დახმარება. თანხები მოიცავდა საკვებს და ყოველდღიური მოხმარების საგნების ძირითად მარაგს. ასევე ტანსაცმელს წყალდიდობის შედეგად დაზარალებულებისთვის.

2024#3 GEL 1,598.93 Darejan Gabiskiria

Medication and tests for a displaced citizen from Abkhazia and a pensioner. She suffers from femoral neck fracture; pulmonary artery embolism in acute pulmonary heart disease.

2024#3 1.598,93 ლარი დარეჯან გაბისკირია

მედიკამენტები და სამედიცინო კვლევები აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქის და პენსიონერისთვის. მას ჰქონდა ბარძაყის ყელის მოტეხილობა; ჩაუტარდა ქირურგიული ჩარევა. მდგომარეობა გართულებული იყო ფილტვის არტერიის ემბოლიით, გულის მწვავე დაავადების ფონზე.

2024#4 GEL 3,000 Anastasia Minashvili

Funding for a plane ticket to the US to participate in the Music Academy of the West programme for 3 weeks. The Academy is a summer programme for classical music training.

2024#4 3.000 ლარი ანასტასია მინაშვილი (ინდივიდუალური)

დასავლეთის მუსიკალური აკადემიის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აშშ-ში გასამგზავრებლად თვითმფრინავის ბილეთის დაფინანსება. აკადემიის საზაფხულო პროგრამა არის 3 კვირიანი და მისი მიზანია კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა მხარდაჭერა პროფესიონალურ განვითარებაში.

2024#5 GEL 7,000 Support to Armenian refugees from Karabakh who fled to Spitak

Purchase of ovens for cooking and heating in cooperation with the Embassy of Armenia in Georgia

2024#5 7.000 ლარის დახმარება სპიტაკში ყარაბაღიდან დევნილი სომეხი ლტოლვილებისათვის.

საქართველოში სომხეთის საელჩოსთან თანამშრომლობით დახმარებით გასათბობი ღუმელების შეძენა და გადაცემა დევნილი სომეხი მოსახლეობისათვის.

2024#6 GEL 3,000 Demetre Janashia

Funding for postoperative rehabilitation so that the boy can walk.

2024#6 3.000 ლარი დემეტრე ჯანაშია

პოსტოპერაციული რეაბილიტაციის დაფინანსება, რაც დაეხმარება ბავშვს რომ შეძლოს სიარული.

2024#7 GEL 2,000 Natalia Meskhi

Support for her daughter's DNA test which was required by the court.

2024#7 2.000 ლარი ნატალია მესხი

მისი ქალიშვილის დნმ-ის ტესტის ფინანსური მხარდაჭერა, სასამართლოზე წარსადგენად მათი მოთხოვნის შესაბამისად.

2024#8 GEL 2,638 Georgian Portage Association

Purchase of materials to ensure precise adjustments of wheelchairs for their beneficiaries.

2024#8 ლარი 2.638 საქართველოს პორტაჟის ასოციაცია

მასალების შეძენა ასოციაციის ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის ეტლების ზუსტი მორგების უზრუნველსაყოფად.

2024#9 GEL 3,000 Parents' Support

Support to buy materials necessary for various types of therapies (occupational, speech, physiotherapy and others).

2024#9 3.000 ლარი მშობლების მხარდაჭერა

მხარდაჭერა სხვადასხვა ტიპის თერაპიისთვის საჭირო მასალების შესაძენად (ოკუპაციური, მეტყველება, ფიზიოთერაპია და სხვა).

2024#10 GEL 14,500 American Friends of Georgia

Support of project "Access to Education" that aims to provide laptops and internet access to needy but talented students around Georgia.

2024#10 ლარი 14.500 საქართველოს ამერიკელი მეგობრები

პროექტის „განათლებაზე ხელმისაწვდომობის“ მხარდაჭერა, რომლის მიზანია უზრუნველყოს ლეპტოპებით და ინტერნეტით ფინანსურად რთულ მდგომარეობაში, მაგრამ ნიჭიერი სტუდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით.

2024#11 GEL 2,850 Development Space-2023

Refurbishment of lower ground floor and purchase of furniture for Centre supporting adults with special needs.

2024#11 2.850 ლარი დეველოპერული ფართი-2023წ

სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდების მხარდამჭერი ცენტრის დაბალი პირველი სართულის რემონტი და საჭირო ავეჯის შეძენა.

2024#12 GEL 3,000 Lanchkhuti Youth Caravan

Renovation of two buses in order to turn them into a cafeteria and a space for workshops and various events.

2024#12 3.000 ლარი ლანჩხუთის ახალგაზრდული ქარავანი

ორი,მწყობრიდან გამოსული ავტობუსის განახლება გადაკეთება კაფეტერიად და სივრცედ, ვორქშოპებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

2024#13 GEL 5,000 Marita Chinchaladze

Support for hip joint replacement (surgical operation) for a girl suffering from spastic cerebral palsy.

2024#13 5.000 ლარი მარიტა ჩინჩალაძე

ბარძაყის სახსრის ჩანაცვლების ფინანსური მხარდაჭერა (ქირურგიული ოპერაცია) სპასტიური ცერებრალური დამბლით დაავადებული გოგონასთვის.

2024#14 GEL 5,000 Tornike Iasvili

Rehabilitation support for a 21-year old man suffering from glucose transporter protein deficiency.

2024#14 5.000 ლარი თორნიკე იაშვილი

გლუკოზის გადამტანი ცილის დეფიციტით დაავადებული 21 წლის მამაკაცის სარეაბილიტაციო დახმარება (მოდრობისა და მოტორიკის განვითარება/გაუმჯობესებისათვის).

2024#15 GEL 17,950 Ceramics Studio in Zemo Nikozi

Support to buy windows for the new ceramics studio at the JP School after St. Alexander Okropiridze.

2024#15 17.950 ლარი კერამიკის სტუდია ზემო ნიქოზში

ზემო ნიქოზში წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის JP სკოლაში ახალი კერამიკის სტუდიის შენობისათვის ფანჯრების შესყიდვის მხარდაჭერა.

2024#16 GEL 1,780 Maka Kintsurashvili

Support for PT scan for a woman with breast cancer.

2024#16 1.780 ლარი მაკა კინჭურაშვილი

ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე ქალისთვის PT სკანირების ფინანსური მხარდაჭერა.

2024#17 GEL 3,000 Ioane Chanadiri

Support for speech therapies for a boy with special needs.

2024#17 3.000 ლარი იოანე ჩანადირი

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისათვის მეტყველების თერაპიის მხარდაჭერა.

2024#18 GEL 3,000 Kato Azrumelashvili

Support for speech therapy for a 9-year old girl with special needs.

2024#18 3.000 ლარი კატო აზრუმელაშვილი

სპეციალური საჭიროების მქონე 9 წლის ბავშვისათვის მეტყველების თერაპიის მხარდაჭერა.

2024#19 GEL 15,000 Anti-Violence Network of Georgia

Purchase of food supplies for three months – May to June.

2024#19 15.000 ლარი ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს ქსელი

ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს ქსელისათვის საკვები პროდუქტების შეძენა სამი თვის განმავლობაში - მაისიდან ივნისამდე.

2024#20 GEL 5,000 Vakho Kakulia

Support for a prosthetic left arm following an accident.

2024#20 ლარი 5000 ვახო კაკულია

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებულისათვის მარცხენა ხელის პროთეზირების ფინანსური მხარდაჭერა.

2024#21 GEL 3,000 Baia Pachulia

Support for an intensive rehabilitation course in Slovakia for a girl suffering from cerebral palsy.

2024#21 3.000 ლარი ბაია ფაჩულია

ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვის ინტენსიური სარეაბილიტაციო კურსის მხარდაჭერა სლოვაკეთში.

2024#22 GEL 3,000 Gvantsa Nadiradze

Radiation and chemotherapy for a woman suffering from a cancerous brain tumour.

2024#22 3.000 ლარი გვანცა ნადირაძე

რადიაციული და ქიმიოთერაპიული მკურნალობის მხარდაჭერა თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზის მქონე პაციენტისათვის..

2024#23 GEL 3,000 First Step Georgia

Purchase of 3 tablets to help children communicate + provide online training + buy other suitable toys for rehabilitation.

2024#23 3.000 ლარი პირველი ნაბიჯი საქართველო

ორგანიზაციისათვის 3 ცალი კომპიუტერის (ტაბლეტი) შეძენა ბავშვებთან კომუნიკაციისათვის, ასევე ონლაინ ტრენინგის ჩატარება და რეაბილიტაციისთვის შესაფერისი სათამაშოების შეძენა.

2024#25 GEL 1,872 Manana Gvazana

Support to buy medication and care products for a 79 year old bed-ridden pensioner.

2024#24 1.872 ლარი მანანა გვაზანა

დახმარება 79 წლის საწოლზე მიჯაჭვული პენსიონერისთვის მედიკამენტებისა და მოვლის საშუალებების შესაძენად.

2024#26 GEL 3,000 Nikoloz Chkadua

Support for rehabilitation post-surgery.

2024#25 3.000 ლარი ნიკოლოზ ჭკადუა

ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის მხარდაჭერა.

2024#27 GEL 3,000 Alexandre Zarandia

Support for physiotherapy for a 4-year old boy suffering from spastic paraplegia and motor retardation.

2024#27 3.000 ლარი ალექსანდრე ზარანდია

ფიზიოთერაპიის მხარდაჭერა 4 წლის ბავშვისათვის, რომლის დიაგნოზია სპასტიური პარაპლეგია და მოტორული ჩამორჩენა.

2024#28 GEL 3,000 Daniel Chinchaladze

Support for physiotherapy for a 2-year old boy suffering from spastic diplegia, having been born prematurely.

2024#28 3.000 ლარი დანიელ ჩინჩალაძე

ნაადრევად დაბადებული სპასტიური დიპლეგიით დაავადებული 2 წლის ბიჭის ფიზიოთერაპიის მხარდაჭერა.

2024#29 GEL 4,000 Nata Marsagishvili

Chemotherapy for a woman diagnosed with acute lymphoblastic leukemia.

2024#29 4.000 ლარი ნატა მარსაგიშვილი

მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის დიაგნოზის მქონე პაციენტისათვის ქიმიოთერაპიული მკურნალობის მხარდაჭერა.

2024#30 GEL 5,000 Mariam Orvelashvili

Support of eye operation for a woman suffering from ptosis of the upper lid on both eyes.

2024#30 5.000 ლარი მარიამ ორველაშვილი

ორივე თვალის ზედა ქუთუთოს პტოზის მქონე პაციენტისათვის თვალზე ქირურგიული ჩარევის მხარდაჭერა.

2024#32 GEL 37,682 Education and Development Centre Toliskuri

Toliskuri is renovating a building that was bought with support from the Austrian Police and IWA. The building will cater for children with special needs. This amount came exclusively from donations collected in Austria. The above amount was transferred to IWA's account and this project covers the transfer of the funds to Toliskuri.

2024#32 37.682 ლარი განათლებისა და განვითარების ცენტრი ტოლისყური

ავსტრიის პოლიციისა და IWA-ს მხარდაჭერით შეძენილ შენობას არემონტებს ორგანიზაცია „განათლებისა და განვითარების ცენტრი ტოლისყური“. ცენტრის მიზანია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მომსახურება. რემონტისათვის განკუთვნილი თანხა ექსკლუზიურად ავსტრიაში შეგროვებული შემოწირულობებიდან შეგროვდა. აღნიშნული თანხა ირიცხებოდა IWA-ს ანგარიშზე და ეს პროექტი ითვალისწინებდა თანხის გადარიცხვას ცენტრ ტოლისყურში.

2024#34 GEL 2,400 Cecil Khutsishvili

Support for rehabilitation for a 5-year old boy suffering from spastic diplegia, moderate paresis of both lower limbs and delayed development.

2024#34 2.400 ლარი სესილ ხუციშვილი

5 წლის ბავშვის რეაბილიტაციის მხარდაჭერა, რომლის დიაგნოზია სპასტიური დიპლეგია, ორივე ქვედა კიდურების ზომიერი პარეზი და დაგვიანებული განვითარება.

2024#35 GEL 3,000 Sopiko Lomaia

Support for tests for a woman suffering from thyroid cancer.

2024#35 3.000 ლარი სოფიკო ლომაია

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის დიაგნოზის მქონე ქალის სამედიცინო კვლევების მხარდაჭერა.

2024#36 GEL 5,000 Evang. Luth. Diakonisches Werk Georgiens

Support for the renovation of a space dedicated to women who have been through traumatic experiences, predominantly domestic or other violence.

2024#36 5.000 ლარი ევანგ. ლუთი. Diakonisches Werk Georgiens

ოჯახში ან სხვა ძალადობის ტრავმული გამოცდილების მქონე ქალების მხარდასაჭერად სივრცის გარემონტება/განახლება.

2024#37 GEL 351 Luka Mchedlishvili

Support for the performance of medical tests post virus infection.

2024#37 351 ლარი ლუკა მჭედლიშვილი

ვირუსული ინფექციის გართულებული შემთხვევის დიაგნოზის მქონე პაციენტის სამედიცინო კვლების ფინანსური მხარდაჭერა.

2024#38 GEL 4,000 Giorgi Shamugia

Support for the fitting of an orthosis before a new operation on right leg.

2024#38 4.000 ლარი გიორგი შამუგია

პაციენტისათვის მარჯვენა ფეხზე წინასაოპერაციო ორთოზის დაყენების ფინანსური მხარდაჭერა.

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----